საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კეჭაყმაძე ნაზი ქრისტეფორეს ასული

კეჭაყმაძე ნაზი ქრისტეფორეს ასული (21. I. 1913, სოფ. კვირიკეთი, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 25. V. 1996, ბათუმი), მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1987). ოზურგეთის თეატრის მსახიობი (1930–34). ჩოხატაურში სახელმწ. თეატრის დაარსების შემდეგ იყო ამ თეატრის მსახიობი, შემდეგ – დირექტორი (1943–45), 1949-იდან გარდაცვალებამდე – ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახ. თეატრის მსახიობი. მის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: ქეთევანი (დ. ერისთავის „სამშობლო"), ხანუმა, გულჯავარი (ა. ცაგარლის „ხანუმა", „გლეხის ქალი გულჯავარი"), ტურფა (ა. წერეთლის „პატარა კახი"), გულთამზე (პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი"), ფატი (ნ. ნაკაშიძის „ვინ არის დამნაშავე?"), მარინე (ვ. გუნიას „და-ძმა"), ქრისტინე (პ. ირეთელის „ქრისტინე"), ძიძია (ა. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა"), მამიდა (ტ. რამიშვილის „სტუმარმასპინძლობა"), მელანო (დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი"), საშა (ლ. ტოლსტოის „ცოცხალი ლეში"), ტატიანა (ბ. ლავრენიოვის „რღვევა"), მართა (გ. ნახუცრიშვილის „ნაცარქექია"), კაკანო, ბებია (ნ. დუმბაძის „მე ვხედავ მზეს",„"მე, ბებია, ილიკო და ილარიონი"), მანანა ორბელიანი (მ. მრევლიშვილის „ნიკოლოზ ბარათაშვილი"), ეფროსინე (კ. ბუაჩიძის „მკაცრი ქალიშვილები"), გულსუნდა (ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი"), დედა (თ. ჭილაძის „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის"), ფერმის გამგე (ა. აბდულინის „მეცამეტე თავმჯდომარე") და სხვ. გადაღებულია ფილმებში: „ნეილონის ნაძვის ხე" (1985), „ჩემი ბოშები" (1987) და სხვ.